სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# პრესრელიზი

04.05.2015

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

## ტრენინგები ბიზნესსექტორის წარმომადგენელთათვის დაიწყო

**2015 წლის 4 მაისს** სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფისში ჩატარდა სააგენტოს მიერ ორგანიზებული კერძო სექტორის წარმომადგენელთათვის ტრენინგების დაწყების საზეიმო გახსნა. ამჯერად, ტრენინგების სპეციალურ კურსს სახელმწიფო შესიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში გაივლის ბიზნესსექტორის 45 წარმომადგენელი. ეს ინიციატივა ხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის არსებობის მანძილზე, ეს პირველი ტრენინგია, რომელიც მიმწოდებელ ორგანიზაციებს ჩაუტარდებათ. აქამდე, 2014 წლის ოქტომბრიდან სწავლება გაიარეს სახელმწიფო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტებმა.

საზეიმო ღონისძიება გახსნა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან რაზმაძემ, რომელმაც ტრენინგების დაწყება მიულოცა და წარმატებული საქმიანობა უსურვა მსმენელებს. მან აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთ-ერთი ამოცანაა გაიზარდოს სახელმწიფო შესყიდვებში ბიზნესის ჩართულობა და ამისათვის სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს დგამს. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო ორგანიზაციების, სავაჭრო სამრეწველო პალატის, ბიზნესსექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
**მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ქალბატონმა დანდან ჩენმა** სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელობასა და მასში კერძო სექტორის ჩართულობაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, ბიზნესის წარმოების კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია გამჭვირვალე სისტემა, რომელიც რეფორმის შედეგად შეიქმნა. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანმა ელექტრონულმა სისტემამ საერთაშორისო საზოგადოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ელექტრონულმა პლატფორმა, რომელსაც მსოფლიო ბანკი 2014 წლიდან ჩვენს ქვეყანაში იყენებს,

საშუალებას იძლევა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი კორუფციის რისკები. ტრენინგები კომპანიებისთვის, რომელიც დღეიდან იწყება, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ყოველივე ეს არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის მჭიდრო ურიერთთანამშრომლობის შედეგი.

**კომპანია GRGroup-ის მთავარი აღმასრულებელი დირექტორი გურამ დაფქვიაშვილი:** „ჩვენი კომპანია საქმიანობს საგზაო სფეროში, ძირითადად, ეს არის ასფალტის წარმოება, ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება. ელექტრონული ტენდერები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რათა უფრო მეტი გამჭვირვალობა და პროცედურულად უფრო მარტივი იყოს იმ დოკუმენტაციის მიწოდება, რომელიც ადრე ხდებოდა ქაღალდებით. ჩვენი თანამშრომლები გაივლიან ამ ტრენინგებს, რათა მიიღონ მაქსიმალური ინფორმაცია და გაუმარტივდეთ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა“.

**სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალურმა დირექტორმა ქალბატონმა ნინო ჩიქოვანმა** აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივა მიმწოდებელთათვის მისასალმებელია. „სავაჭრო-სამრეწველო პალატის აკადემიის სახით, საორგანიზაციო საკითხებში ჩართულები ვიყავით. სავაჭრო-სამრეწველო პალატა, როგორც წევრი ორგანიზაციებისათვის, ასევე სხვა რეგისტრირებული ბიზნესსუბიექტებისთვის სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ინფორმირმაციის გავრცელების მიზნით, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან“, - განაცხადა ჩიქოვანმა.